



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო
ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების
კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19.03.2022-15.04.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17.05.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #51, 03.08.2017

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 03 აგვისტოს №51 გადაწყვეტილების შესაბამისად. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, ამასთან, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კომპონენტები - 90 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები 30 კრედიტი. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი“.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხების, რეგიონალური და საერთაშორისო კონფლიქტების, მათი მართვის, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის, ევროპის ქვეყნების მმართველობითი სისტემების, საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემების, ლიდერობის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ. შესძინოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული გამოწვევების, მათ შორის: ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ამოცნობის, მათი მართვის ახალი, ორიგინალური გზების შემუშავების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების, ინფორმაციის ანალიზის, სინთეზისა და დასკვნების ჩამოყალიბების, ეთიკის პრინციპების დაცვით, აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების ქართულ და უცხოურ (ინგლისურ) ენაზე წარდგენის უნარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღების, საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის მოადგილის ბრძანების (MES 0 22 0000253731, 14/03/2022) საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები, პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა და პერსონალის პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის შუამდგომლობით გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია ინსტიტუციიდან.

პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლით. შეფასება ფოკუსირებულია I, II და IV სტანდარტებთან მიმართებით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

2.3. სასწავლო კურსი

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი ფორმულირების და გაზომვადობის თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია „პოლიტიკური ხელისუფლების თეორია“, „დემოკრატია და დემოკრატიზაცია“, „ორგანიზაცია და მართვის პრინციპები“ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების საფეხურის მოთხოვნებთან.

2.6. სტუდენტების შეფასება

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შემთხვევაში მეტ ყურადღებას საჭიროებს კვლევის საკითხების და არგუმენტის/ჰიპოთეზის ფორმულირება.

4.1 ადამიანური რესურსი

- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მდგრადობის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია, სამიზნე ნიშნულების დადგენილ საორიენტაციო ზღვართან ერთად, მითითებულ იქნას შესაბამისი სასწავლო კურსები და დეტალები თუ როგორ ფასდება სასწავლო ნიშნულები.

2.6. სტუდენტების შეფასება

- სასურველია მეტი ანალიტიკური ხასიათის დავალებების გამოყენება, რათა შესაბამისად გაიზომოს სწავლის შედეგების მიღწევა კრიტიკული აზროვნების თავლსაზრისით და საგნის სიღმისეული შესწავლის მიზნით.

4.1 ადამიანური რესურსი

- სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს პროგრამაში დარგის, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერებების, სპეციალისტების ჩართულობაზე, რათა გათვალისწინებული იქნას სფეროს განვითარების ტენდენციები, ასევე დარგის შესწავლის საუკეთესო პრაქტიკა.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- პანდემიით გამოწვეული სიტუაციის მიუხედავად, სასურველია, დისტანციური და შერეული მუშაობის ფორმატის პირობებშიც პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები;
- სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, ასევე კონფერენციების შემთხვევაში მეტი აქცენტი გაკეთდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობაზე უშუალოდ დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

- ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ინსტიტუცია ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას 4.1 კომპონენტთან მიმართებით. რაც შეეხება 2.3 და 2.6 კომპონენტების შესაბამის რეკომენდაციებს, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით რეკომენდაციები რჩება უცვლელი, პროგრამის განვითარების მიზნებისა და დასკვნაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინსტიტუციის მიერ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ირკვევა რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში არ შეცვლილა პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. 2017 წელს აკრედიტებული პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ემთხვევა წარმოდგენილ პროგრამის დასახელებასა და კვალიფიკაციას. პროგრამის სახელწოდებაა საერთაშორისო ურთიერთობები, ხოლო კვალიფიკაცია - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (0312.1.2)

პროგრამა მიზნად ისახავს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხების, რეგიონალური და საერთაშორისო კონფლიქტების, მათი მართვის, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის, ევროპის ქვეყნების მმართველობითი სისტემების, საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემების, ლიდერობის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ;
- გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული გამოწვევების, მათ შორის: ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ამოცნობის, მათი მართვის ახალი, ორიგინალური გზების შემუშავების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

დამოუკიდებლად განხორციელების, ინფორმაციის ანალიზის, სინთეზისა და დასკვნების ჩამოყალიბების, ეთიკის პრინციპების დაცვით, აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების ქართულ და უცხოურ (ინგლისურ) ენაზე წარდგენის უნარი;

- გამოუმუშავოს სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღების და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში სამაგისტრო პროგრამის მიზნებში შინაარსობრივი ცვლილებები არ განხორციელებულა. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ასევე, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში, პროგრამის სწავლის შედეგები არსებითად არ შეცვლილა, გარკვეულწილად მოდიფიცირდა შედეგების ფორმულირება და ჩამოყალიბდა აქტიური ზმნების გამოყენებით.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ჩამოყალიბებულია აწმყო დროში, არის გაზომვადი და რეალისტური და აღწერს პროგრამის შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებსა და ავტონომიურობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პროგრამას შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულების სისტემა, რომელიც თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის საორიენტაციო ზღვარს განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. შესაბამისად, მეტი სიცხადისთვის, სამიზნე ნიშნულების დადგენილ საორიენტაციო ზღვართან ერთად სასურველია მითითებულ იქნას შესაბამისი სასწავლო კურსები და დეტალები თუ როგორ ფასდება სასწავლო ნიშნულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“; • სამაგისტრო პროგრამა; • სილაბუსები; • კურიკულუმის რუკა; • სწავლის შედეგების შეფასების ფორმა.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, სამიზნე ნიშნულების დადგენილ საორიენტაციო ზღვართან ერთად, მითითებულ იქნას შესაბამისი სასწავლო კურსები და დეტალები თუ როგორ ფასდება სასწავლო ნიშნულები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	-----------------------------------------	-------------------------------------

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
-------------------------------------------------------------------------------------	---	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად პროგრამაზე სწავლის უფლება მოპოვება შეუძლია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და უცხოურ (ინგლისურ) ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე. ასევე, შიდა/გარე მობილობის პროცესში მონაწილეობითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში, ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატს.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წინაპირობები ასევე განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;

<ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამა; • უსდ-ს ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-ში უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის სტრუქტურა არ შეცვლილა მოდიფიცირების შედეგად. პროგრამის</p>

სტრუქტურა ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას და პროგრამის შინაარსს. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, აქედან:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები - 90 კრედიტი (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 50 კრედიტი, პრაქტიკა 10 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი)
- არჩევითი კომპონენტები - 30კრედიტი;

პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. არჩევითი სასწავლო კურსების ოდენობა იძლევა არჩევანის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დანართად წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები უმეტესად გაწერილია ცხადად, აქტიური ზმნების გამოყენებით.

თუმცა, რიგ შემთხვევებში შედეგები არ არის გაზომვადი, აწმყო დროში და ცხადად ფორმულირებული, მაგ.: იაზრებს პოლიტიკურ პრობლემებსა და განსაზღვრავს პრიორიტეტებს და პრაგმატულ მოქმედებათა მოდელებს (პოლიტიკური ხელისუფლების თეორია); ახდენს მიღებული ცოდნის საფუძველზე საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში ჩართვას და შესრულებული სამუშაოს შედეგების პრეზენტაციას; ავლენს უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს (საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები); შეუძლია სასწავლო პროცესის პრიორიტეტული მიმართულებების გააზრება თეორიული მასალის გაღრმავებით, საინტერესო ლიტერატურის მოძიებითა და მათზე მუშაობით (გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი) და სხვ. მიზანშეწონილია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი მოვიდეს შესაბამისობაში მოთხოვნებთან და დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის თვალსაზრისით.

საგულისხმოა, რომ რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგები არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურს. მაგ. ჩამოთვლის პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში არსებულ ცალკეულ ასპექტებსა და პრობლემებს და მათი მოგვარების საკუთარ ხედვებს; განმარტავს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიების მნიშვნელობას საჯარო

მმართველობის სფეროში (პოლიტიკური ხელისუფლების თეორია); ჩამოთვლის თანამედროვე დემოკრატიის ღირებულებებსა და იდეალებს; ერთმანეთისაგან განახსხვავებს დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის პროცესებს (დემოკრატია და დემოკრატიზაცია); ჩამოთვლის ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს (ორგანიზაცია და მართვის პრინციპები). რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების საფეხურის მოთხოვნებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს სასწავლო კურსის შედეგების შეფასების რუკას, რომელიც ნამდვილად ეფექტურია სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორებისა და მეთოდების მეტი თვალსაჩინოებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი ფორმულირების და გაზომვადობს თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია „პოლიტიკური ხელისუფლების თეორია“, „დემოკრატია და დემოკრატიზაცია“, „ორგანიზაცია და მართვის პრინციპები“ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების საფეხურის მოთხოვნებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაძლებლობას. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას.

პროგრამის სასწავლო კურსებში ჩაშენებულ პრაქტიკულ დავალებებსა და აქტივობებთან ერთად (პრაქტიკული მუშაობა, დამოუკიდებელი სწავლება, როლური თამაშები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი), პროგრამა მოიცავს პრაქტიკას და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო - კვლევით კომპონენტში მოიაზრება სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შემოწმდა სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება თითოეული სასწავლო კურსის შინაარსის, სპეციფიკის, ასევე მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფის შეფასების მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2.5. ქვესტანდარტთან მიმართებაში პროგრამის რეაკრედიტაციის ფარგლებში რეკომენდაციები ან რჩევები არ იქნა გაცემული.

როგორც ირკვევა თვითშეფასების ანგარიშიდან და პროგრამის აღწერიდან, სასწავლო პროცესი ფოკუსირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდებზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში რიგი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება, მათ შორის ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკა), ელექტრონული სწავლება

(ელექტრონული რესურსით სწავლება). სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ვერბალურ ახსნა-განმარტებას, წიგნზე მუშაობას, წერით მუშაობას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს (Case study), პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), გონებრივ იერიშს (brain storming), ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (IBD), როლურ და სიტუაციურ თამაშებს, თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, ანალიზს, დისკუსია/დებატებს, პრეზენტაციას, გუნდურ მუშაობას, პრაქტიკულ მეთოდებს, დამოუკიდებელ სწავლას.

ხაზგასასმელია, რომ სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში. მაგალითად, *პოლიტიკის მეცნიერებათა კვლევის მეთოდების* სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მეთოდების და აქტივობების კომბინირება, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ანალიზი და სინთეზი; *სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში* - მოსაზრებების და დასკვნების ჩამოყალიბება, მსჯელობა, ელექტრონურ რესურსებზე მუშაობა; *გენდერი და პოლიტიკის* სასწავლო კურსის შემთხვევაში - გონებრივი იერიში, დისკუსია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც გამოვლინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები აკმაყოფილებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
